

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტი

მედიცინის ფაკულტეტი

II კურსი

დნმ-ის დღე 2019 - ესეების კონკურსი

მორალი და კანონი გენეტიკის ჭრილში

ლამა ჭელიძე; 

როგორც წესი, განვითარებულ მსოფლიოში ადამიანის უფლებებს იცავენ ნებისმიერი პროფესიის, გამოცდილი, კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური ადამიანები, რომლებსაც უამრავი პრაქტიკული მაგალითი შეხვედრიათ ცხოვრებაში. თუ ჩვენ კიდევ ერთხელ შევთანხმდებით იმაზე, რომ საზოგადოება პასუხისმგებელია ინდივიდის წინაშე და პირიქით, მაშინ „ეს ჩემი საქმე არ არის“ პრინციპი უნდა უგულვებელვყოთ. ეს ხომ მოძველებული მენტალიტეტის მთავარი საყრდენია. როცა დემოკრატიულ სამყაროში უფლებები და მოვალეობები პირდაპირპროპორციულია, თუ გვინდა გვექონდეს მეტი უფლება, უნდა ვიკისროთ გაცილებით მეტი მოვალეობა.

დემოკრატიულ ქვეყანაში მოვალეობა არის სამოქალაქო განათლების მაღალი ხარისხი და ცოდნა ერთი ბანალური, მაგრამ დიადი ჭეშმარიტებისა: „შენი უფლებები მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი.“ ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების დაცვა ერთნაირად აუცილებელია მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო საკითხებში. ვფიქრობ, სწორი დამოკიდებულება ემპათიისადმი¹ იწყება სწორედ ელემენტარულიდან. ტოლერანტობა მაღალზნეობრივი საქციელის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი და გამოვლინებაა. უფლებებისა და მოვალეობების ჭიდილი ყველა სფეროში გამოიხატება, მათ შორის მედიცინაშიც.

ყველასათვის ცნობილია, რომ საექიმო საქმიანობა ერთ-ერთ ურთულეს, საინტერესო და ამავდროულად საპასუხისმგებლო პროფესიათა ჯგუფში შედის. საზოგადოების მაღალი სენსიტიურობა სამედიცინო სერვისებისა და პერსონალის მიმართ გასაგებიცაა, ვინაიდან ისინი განსაკუთრებულ თანადგომას სწორედ ექიმისგან მოითხოვენ. მედიკოსის მოვალეობა, ერთი შეხედვით, ერთ დიდ თავსატეხსაც წარმოადგენს. მას ხშირად უხდება ისეთ რთულ სიტუაციებში ყოფნა, რომელიც არა მარტო ფსიქოლოგიური და მორალური, არამედ კარიერული (ნაწილობრივ) თვალსაზრისითაც ანადგურებს.

1.ემპათია - ადამიანის უნარი უთანაგრძნოს სხვებს და გაიგოს მათი ქცევა, დამოკიდებულება.

განხილული სიტუაცია წარმოადგენს მიზნების, უფლებების, მოვალეობების, კანონებისა და მორალური საკითხების რთულ ქსელს, რომელშიც რამდენიმე პირი მონაწილეობს. უპირიანი იქნება გავანალიზოთ თითოეული მათგანის მდგომარეობა თანამედროვე ბიოეთიკური კოდექსების, კონსტიტუციისა და, რასაკვირველია, საკუთარი აზრის დაფიქსირებით გენეტიკის ჭრილში.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გავამახვილოთ საკითხის ლაიტ მოტივზე²- რატომ მაინცდამაინც ჰანტიგტონის დაავადება? ჰანტიგტონის დაავადება არასტაბილური განმეორებადობების ექსპანსიით გამოწვეული პოლიგლუტამინის დარღვევების მრავალ გენეტიკურ ნიშანს აერთიანებს. დაავადების მემკვიდრული გადაცემისას, ანტიციპაცია³ აღინიშნება მშობლისეული გადაცემის ცდომილების დროს[1]. მარტივად რომ ვთქვათ, მთელი რიგი გართულებები, რომლებზედაც ქვემოთ ვისაუბრებ, არის განუკურნებელი და დიდი ალბათობით გამოვლინდება შთამომავლობაში - დგება ექიმისა და პაციენტის მორალური და სამართლებრივი მდგომარეობა. უნდა უთხრას თუ არა ექიმმა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ პაციენტის შვილს, სარას?!

ჰიპოკრატეს ფიცში⁴ ხაზგასმულია: „ოდეს მკურნალობის ჟამს - ან თუ სხვა დროს - ყური მოგვრა, ანდა ვიხილო რაიმე კაცთა ცხოვრებიდან, რაიცა არ უნდა იქნას გამჟღავნებული, საიდუმლოდ მივიჩნიოთ და არავის გავუმხილო იგი.“

„სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო კოდექსში“⁵, რომელიც მიღებულია მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1949 წლის ოქტომბერში, წერია:

-
2. ლაიტ მოტივი - თემის ძირითადი აზრი.
 3. ანტიციპაცია - დაავადების ადრეულ ასაკში გამოვლენა.
 4. ჰიპოკრატეს ფიცი - ძვ.წ. აღ 460-377 წლებში ანტიკური მედიცინის რეფორმატორის, „მედიცინის მამად“ წოდებული ჰიპოკრატეს მიერ შემოღებული ექიმის ქცევის ნორმები, რომლებიც ფიცის სახითაა ჩამოყალიბებული.
 5. სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო კოდექსი - ლონდონსა და ინგლისში მიღებული კოდექსი, რომელიც 1968 (ავსტრალია) და 1983 (იტალია) წლებს განახლდა მსოფლიო სამედიცინო ასამბლეის მიერ. ხაზგასმულია ექიმის ზოგადი ვალდებულებები.

„ექიმმა საიდუმლოდ უნდა შეინახოს ყოველივე თავისი პაციენტის შესახებ, სიკვდილის შემდეგაც კი“[2]. კონფედენციალურობის საკითხს აგრეთვე ეხება საქართველოს კანონის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მეხუთე თავის პირველი მუხლი და მე-13 საუკუნის ქართული ტექსტი „წიგნი სააქიმოი“ (ხოჯა ყოფილი).

მიმაჩნია, რომ ექიმ-გენეტიკოსმა არ უნდა გაამხლოს დიაგნოზი ტრივიალური, მაგრამ უნიკალური ორი მიზეზის გამო: პირველი - წარმოვიდგინოთ კარენის ცხოვრებაში ჯონათანის მსგავსი კიდევ უამრავი პაციენტი (სინეკდოქის მოვლენა)⁶, ექიმი, ფაქტობრივად, მუდმივ ფსიქიკურ ზეწოლაში იქნება; მეორე - ეს ჯონათანის პირადი ცხოვრებაა, მისი ხელშეუხებლობა კი დაუწერელი კანონია, რომელსაც ყველა უნდა დაემორჩილოს.

ამდენად, ექიმ-გენეტიკოსს, კარენს ან სხვა ექიმს არ აქვს იურიდულად უფლება გაუმხილოს ჯონათანის დიაგნოზი მის შვილს, სარას.

სიტუაციის განსაკუთრებული ფიგურა ჯონათანია. ბევრი ადამიანი, სამწუხაროდ, ვერ იხმარს ვერანაირ ევფემიზმსმასთან დაკავშირებით - ეს „გმირი“ არის ზოგადი სახე იმ ადამიანისა, რომელიც, ერთი შეხედვით, ზნეობრივი და მორალური ფასეულობებისგან განძარცვულია, თუმცა მედალს ორი მხარე აქვს; განვიხილოთ შესაძლო მიზეზები, თუ რატომ მალავს იგი „ნაკლს.“

ჰანტინგტონის მიმდინარეობა ტვინის გენერალიზებულ ატროფიას, ნეირონების ბირთვული და ციტოპლაზმური აგრეგატების აკუმულაციას, საბოლოოდ კი, ნეირონების სიკვდილს იწვევს[1]. Huntington Disease New-ის მონაცემების მიხედვით[3], ასეთ ადამიანებს ხასიათისა და ქცევების (შიში, დეპრესია, აშლილობა) შეცვლასთან ერთად მნიშვნელოვნად უქვეითდებათ კომუნიკაციის უნარი: დიზართრია⁷, საკუთარ

6. სინეკდოქე - აქ: ერთი ადამიანის გამრავლება.

7. დიზართრია - მეტყველების უნარის დარღვევა, კერძოდ, სიტყვის წარმოთქმის გაძნელება და დამახინჯება.

თავთან ჩაკეცვა, ენერჯის, კონცენტრაციის უნარისა და დაცულობის შეგრძნების დაკარგვა, მარტოსულობის შეგრძნება, კომუნიკაციის სირთულე ოჯახის წევრებსა თუ ახლობლებთან... ეს და სხვა მრავალი სიმპტომი, სამწუხაროდ, სუიციდის ყველაზე დიდ რისკ-ფაქტორებს წარმოადგენს[4].

სარას ემოციური მდგომარეობა, შესაძლო დისონანსი მამასთან და შედეგად, ჯონათანის გაუაზრებელი ქმედებანი, (ჰანტინგტონის დაავადების დროს პაციენტთა ერთ მესამედს ფსიქიკური აშლილობა აქვს) - მხოლოდ უარესის პრელუდია თუ იქნება მამა-შვილის ცხოვრებაში.

ამდენად, ზემოთქმული არგუმენტები ამყარებს ჯონათანის პოზიციას - დაუმალოს თავის შვილს, სარას საკუთარი დიაგნოზი.

სიმართლე ადამიანთა ნორმალური ურთიერთობისა და სოციალური ურთიერთქმედების აუცილებელი პირობაა. სიმართლის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების განვითარება, წინსვლა, პროგრესი. სიცრუე ანგრევს ადამიანთა შორის კოორდინირებულ ურთიერთქმედებს და რეგრესს განაცდევინებს მათ - ეს სიტყვები განხილულ მაგალითზე მხოლოდ ფიქტიური შინაარსის მატარებელი თუ იქნება. ჯონათანი სალადმოაზროვნე და წინდახედული პიროვნებაა. იგი სიმართლის დამალვით უფრთხილდება საკუთარი თავისა და შვილის,სარას (მას მხოლოდ მორალური თვალსაზრისით შეუძლია იცოდეს „მოსალოდნელი საფრთხის“ შესახებ) ცვლილებათა რთულ პატერნებს, რენომეს (ფართო გაგებით), რამეთუ ცნობილი გამოთქმაა: „მედიცინა და ფსიქოლოგია, ანუ მითხარი, რა გტკივა და გეტყვი რა გჭირს.“ (ჩვენი შინაგანი განცდები ჩვენსავე ფიზიკურ მდგომარეობაზე მოქმედებს).

ამრიგად, ყოველი ადამიანი უნიკალურია თავისი დამოკიდებულებით სიცოცხლესთან... ზოგადად ხალხთან. არსებული სიტუაცია კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ ადამიანი მისი ზნეობრივი საქციელებით ფასდება. ხშირად, ისინი კანონის წინააღმდეგ არიან მიმართულნი, მაგრამ როგორც პიერ ბომარშე თვლიდა, ცხოვრება არასასურველი განცდების წინააღმდეგ ბრძოლაა: „ცოცხლობდე ნიშნავს იბრძოდე, იბრძოდე ნიშნავს ცოცხლობდე.“

გამოყენებული ლიტერატურა:

1) Bordelon YM: Clinical neurogenetics: Huntington disease, *Neurol Clin* 31:1085 – 1094., (2013).

2) General Assembly of the World Medical Association.(1949)., Available from: Wma.net;

3) Melao A. (2019). Psychiatric disorders raise risk of suicidal behavior in HD trial participants., Available from: Huntingtons disease news;

4) Carrol J. (2019). Huntington's disease goes viral as UniQure inches ahead in gene therapy race., Available from: en.hdbuzz.net.